ABOUT SOME WOODEN FOLK ART SAMPLES FROM THE NATIONAL MUSEUM OF GEORGIA (WOMEN`S FURNITURE)

ხალხური ხელოვნების რამდენიმე ნიმუშის შესახებ საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან (საქალო ავეჯი)

GULNARA KVANTIDZE
Doctor of History
Senior Curator of The Georgian National Museum
ORCID:0000-0002-5582-0693
3, A. Purtseladze Street, 0105
Tel:+(99532) 299 80 22
Fax:+(99532)298 21 33
E-mail: kancelaria@museum.ge
gulikokvantidze@yahoo.com
+995577570347

LIA LURSMANASHVILI
Doctor of Technical Sciences
Professor of The Georgian Technical University
ORCID ID 0000-0001-9453-5820
Tbilisi. 77, Merab Kostava street, 0160
Tel:+(99532) 277 11 11
E-mail:info@gtu.ge
l.lursmanashvili@yahoo.com
+995593619376

NATO PAILODZE
Doctor of Engineering Sciences
Akaki Tsereteli State University
ORCID ID - 0000-0002-7298-6281
E-mail:info@atsu.edu.ge
nato.pailodze@atsu.edu.ge
+995577625371

NANULI ABESADZE
Doctor of Engineering Sciences
Akaki Tsereteli State University
ORCID ID-0000-0002-7298-6216
E-mail:info@atsu.edu.ge
nanuli.abesadze@mail.ru
+995568383709

Abstarct

The article studies the varieties, forms, decorative intent, artistic embellishment, shape and symbolic load of the ornaments in the furniture decor of old Georgian furniture specially designated for women space.

The article focuses to how the furniture for women was arranged in the residential complex because there was a gender-segregated area surrounding the hearth. Our study emphasizes the phases of folk furniture evolution.

The goal of the project is to increase awareness of Georgian furniture as a significant monument of material culture. It requires manifestation in academic institutions, scientific communities, and the entrepreneurial sector, as well as scientific inquiry and analysis. Due to its increasing popularity, Georgian furniture is attracting the attention of the business world. When creating new furniture, ancient forms, folk rules of production, furniture material selection, and neglected decor will all be taken into account.

The article also aims to illustrate the gender balance in Georgian ethnography, which is evident in monuments of Georgian material culture including clothing, weapons, and furniture.

The variety of decorations used in woodcarving makes the topic fascinating from a perspective of ornament studies as well.

The research object is the varieties of 18th–20th century Georgian furniture that have been conserved in the ethnographic funds of the National Museum of Georgia. Different kinds of furniture from the Caucasus that have been preserved in the same museum's collections serve as comparable materials.

The Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia provided financial assistance for the research, which was conducted under the project "Research of types of ancient Georgian woven ornaments and processing of textiles with traditional and modern technologies" (grant (FR-21-19932).

Keywords: furniture; women's' furniture gender; material; ornament; chest; chair; dowry chest;

გულნარა კვანტიძე
ისტორიის დოქტორი
საქართველოს ეროვნული მუზეუმის
უფროსი კურატორი
ORCID:0000-0002-5582-0693
ფურცელაძის ქ. N3 0105
Tel:+(99532) 299 80 22, Fax:+(99532)298 21 33
E-mail: kancelaria@museum.ge
gulikokvantidze@yahoo.com

ლია ლურსმანაშვილი
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პროფესორი
ORCID ID 0000-0001-9453-5820
თბილისი, მ. კოსტავას ქ.N77. 0160
Tel:+(99532) 277 11 11, +995593619376
E-mail:info@gtu.ge
l.lursmanashvili@yahoo.com

ნატო ფაილოძე
საინჟინრო მეცნიერებათა დოქტორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ORCID ID - 0000-0002-7298-6281
ქუთაისი. თამარ მეფის ქ. N59, 4600
E-mail:info@atsu.edu.ge
nato.pailodze@atsu.edu.ge
+995577625371

ნანული აბესაძე
საინჟინრო მეცნიერებათა დოქტორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი. თამარ მეფის ქ. N59, 4600
ORCID ID-0000-0002-7298-6216
E-mail:info@atsu.edu.ge
nanuli.abesadze@mail.ru
+995568383709

აბსტრაქტი

ნაშრომში შესწავლილია ძველი ქართული საქალო ავეჯის სახეობები, ფორმები, ფუნქციური დანიშნულება, ავეჯის დეკორში არსებული ორნამენტების მოხაზულობა და სიმბოლიზაცია.

სტატიაში განხილულია საქალო ავეჯის საცხოვრებელ კომპლექსში განლაგების წესი, რაც კერიას გარშემო სქესობრივი სეგრადაციის მიხედვით დაყოფილი სივრცით იყო განპირობებული. შევეხებით ხალხური ავეჯის ტრანსფორმაციის ეტაპებს.

კვლევის მიზანია, ქართული ავეჯის, როგორც მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ძეგლის ცნობადობის გაზრდა. ის საჭიროებს როგორც სამეცნიერო კვლევასა და შესწავლას, ასევე რეალიზაციას სამეცნიერო წრეებში, საგანმანათლებლო სივრცესა და სამეწარმეო სექტორში. ქართული ავეჯის ცნობადობა განაპირობებს სამეწარმეო სექტორის მხრიდან მზარდ ინტერესს და ახალი ავეჯის შექმნისას საავეჯე მასალის შერჩევის, დამზადების ხალხური წესების, ტრადიციული ფორმების, მივიწყებული დეკორის ცოდნის გათვალისწინებას ახალ თანამედროვე ავეჯის შექმნის პროცესში, ეს პროცესი კი გარკვეულწილად ახალ სიცოცხლეს შესძენს ძეგლს.

სტატიის მიზანია ასევე აჩვენოს სქესობრივი ბალანსი ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში, რაც თვალნათლივ აღიქმება ქართული მატერიალური კულტურის ისეთ ძეგლებში, როგორიცაა ავეჯი, სამოსი, იარაღი და სხვ.

სტატია საინტერესოა ასევე ქართული ორნამენტის შესწავლის თვალსაზრისით, რადგან ხითხუროობაში გამოყენებული ორნამენტის სახეები ძირითადად არქაული და მრავალფეროვანია.

საკვლევი ობიექტია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ეთნოგრაფიულ ფონდებში დაცული XVIII-XX სს-ის ქართული ავეჯის სახეობები. პარალელურ მასალად გამოყენებულია ამავე მუზეუმის ფონდებში დაცული კავკასიელი ხალხების მიერ შექმნილი ავეჯის ნიმუშები.

კვლევა განხორციელდა პროექტის - „ძველი ქართული ნაქსოვი ორნამენტის სახეობების კვლევა და ტექსტილის ტრადიციული და თანამედროვე ტექნოლოგიებით დამუშავება“ ფარგლებში, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი (FR-21-19932).

საკვანძო სიტყვები: ავეჯი; საქალო; გენდერული; მასალა; ორნამენტი; სკივრი; სკამი; სამზითვო; ყუთი;

შესავალი

ხალხური ავეჯი ქართული ეთნოკულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მრავალმხრივ საინტერესო ძეგლია. მეავეჯეობას საქართველოში დიდი ხნის ტრადიცია აქვს, რაზეც მეტყველებს საავეჯე მასალის შერჩევის, ხის მოჭრის წესისა, და მასალის დამუშავების ცოდნა. მნიშვნელოვანია ასევე სადურგლო იარაღების მრავალფეროვნება, შემკულობა და ორნამენტიკის სიმბოლიკა.

საქართველოს ბუნება მდიდარი ხის საფარით ხასიათდება, ბევრია წიწვოვანი, ფოთლოვანი და შერეული ტყეები, რომელთა შორის უმეტესობა ენდემური ჯიშის ხეებითაა დაფარული, აქედან გამომდინარე, სრულიად ლოგიკია კავკასიის ამ რეგიონში კარგად განვითარებული ხითხუროობა და მრავალფეროვანი ავეჯი. საავეჯე მასალად ხის სხვადასხვა ჯიშები იხმარებოდა, რაც იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რომელი ჯიშის ხეებით იყო დაფარული ესა თუ ის რეგიონი. არჩევდნენ რბილსა და უმეტესად სახიანი მერქნის მქონე ხეებს. ხელოსნობის ამ დარგთან დაკავშირებული ტრადიციები თითქმის აღარაა შემორჩენილი. მან ეპოქის შესაბამისად რამდენჯერმე განიცადა ტრანსფორმაცია და ეთნოგრაფიულ ყოფას XX საუკუნის 30-იან წლებამდე შემორჩა. მათი ნახვა ახლა მხოლოდ მუზეუმებშია შესაძლებელი.

ქართული ხალხური ავეჯის დამზადების ხელოვნება და მისი ფუნქციის გარკვევა მკვლევართა საგანგებო შესწავლის ობიექტი არ ყოფილა, ამიტომ აღნიშნულ საკითხზე არსებული ლიტერატურის სიმცირე ამით უნდა აიხსნას.

ივანე ჯავახიშვილი პირველია ქართულ სამეცნიერო სივრცეში, ვინც საფუძველი ჩაუყარა ქართული ავეჯის კვლევას. მან თავის ფუნდამენტურ ნაშრომში - საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის ფუნქცია-დანიშნულების მიხედვით დაყო ქართული ავეჯი ძილისთვის და ღვიძილისთვის განკუთვნილი ავეჯი (ჯავახიშვილი, 1966: 22).

მნიშვნელოვანი და ღირებულია ნაშრომი ქართული ავეჯის შესახებ, რომელიც ეკუთვნის ლამარა ბედუკიძეს. მან ფუნდამენტურად შეისწავლა აღმოსავლეთ საქართველოს მთაში გავრცელებული ავეჯის სახეობები, საავეჯე მასალა, ფორმები, შემკულობა, სოციალური ასპექტები და სხვ. (ბედუკიძე, 1973:)

ქართული ავეჯის კვლევის საქმეში საგულისხმოა ტარიელ ხერხეულიძის ნაშრომი, რომელიც ძველი ქართული სახვითი ხელოვნების ძეგლების მიხედვით შესრულებული ავეჯის ნიმუშთა კრებულია, ნაშრომი ავტორმა ივანე ჯავახიშვილის დავალებითა და რედაქციით გამოსცა. ხსენებული კრებულის მასალა XI-XVII სს-ის ყოფაში მოსმხარებულ ავეჯს ეხება და ჭედური ხელოვნების დაუთარიღებელი ძეგლებიდან აღებული ფაქტებითაა შევსებული (ხერხეულიძე, 1941).

ვ. ართილაყვა, ნაშრომში - XVI-XVIII სს. მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ფრესკებზე მოცემული ავეჯის ფორმებს სწავლობს, ავტორის გადმოცემით, ფრესკაზე გამოსახული ავეჯისა და ხალხური ავეჯის პარალელური ელემენტები სავარაუდოთ ხალხურიდან უნდა მომდინარეობდეს. მაგრამ მართებულად დასმული საკითხის ჯეროვნად გადაწყვეტისათვის საჭიროა ხალხური ავეჯის დეტალური შესწავლა და მისი ხასიათის გარკვევა - მასალის, დამზადების წესებისა და ფუნქციის ჩვენებით (ართილაყვა, 1966).

სვანურ საკურცხილს, რომელიც ქართული სასხდომი ავეჯის ერთ-ერთ სახეობაა, გიორგი ჩიტაიამ საგანგებო ნაშრომი მიუძღვნა (ჩიტაია, 1925: 87-110).

ქართული ავეჯის სახესხვაობა გამოწვეული იყო საცხოვრებელი სახლების მრავალფეროვნებით. თ ჩიქოვანი, რომელიც საცხოვრებელ ნაგებობებზე მუშაობდა, ავეჯი შეისწავლა, როგორც საცხოვრებელი სივრცის განუყოფელი ნაწილი. იგი თავის ნაშრომში თვალნათლივ იძლევა ავეჯის განლაგების სურათს საქართველოს სხვადასხვა რეგიონის საცხოვრებლებში (ჩოქავანი, 1960).

ძველ ქართულ ოჯახში, კერასთან გამიჯნულ საკაცო და საქალო მხარეებზე, კუთვნილების მიხედვით დიფერენცირებული ავეჯის ზოგიერთ სახეობათა დანიშნულება და მათათან ოჯახის წევრთა დამოკიდებულება გაანალიზებულია რ. ხარაძის მონოგრაფიებში (ხარაძე, 1939).

საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს არქეოლოგიური მასალა, რომელიც ასევე მკაფიოდ გვიჩვენებს იმ ფაქტს, რომ ქართული ხალხური ავეჯი უტრადიციოდ არ აღმოცენებულა, არქეოლოგიური მონაცემები ადასტურებენ ავეჯის ხელოვნების მაღალ დონეს საქართველოში, ამ მიმართულებით წარმოებული კვლევა-ძიების შედეგად ჩვენამდე მოღწეულია დგამის ცალკეული ელემენტები ლითონის საბურველის სახით და ზოგიერთ შემთხვევაში მისი შემკულობის ფრაგმენტები. მხედველობაში გვაქვს ქართველ პიტიახშთა არმაზის ხევის, ბაგინეთისა და კლდეკარის აკლდამაში აღმოჩენილი დგამის რთულჩუქურთმიანი სადგარები (გობეჯიშვილი, 1952: 121).

ხალხურ ავეჯში, ისევე როგორც ხისგან ნაკეთ სხვადასხვაგვარ საოჯახო ნივთებში, თვალნათლივ ვლინდება ხის დამუშავების ის პროფესიული ცოდნა, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა და ძველზე დაყრდნობით შემოქმედებითად ვითარდებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ხის დამუშავების მაღალი კულტურა თვით ხითხუროობის იარაღების თავისებურებაშიაც ვლინდება.

ხალხური ავეჯისა და მისი დამზადების ცოდნის პოპულარიზაცია მუზეუმის ფონდებში დაცული ხალხური შემოქმედების ამ ნიმუშთა შესწავლითაა შესაძლებელი.

მეთოდები

კვლევისას გამოყენებულია ისტორიულ-ეთნოგრაფიული, შედარებით-ანალიტიკური, ფოტოგრაფირებისა და მასალების შეგროვების მეთოდები. ისტორიული მეთოდის დახმარებით თავი მოვუყარეთ წარსულში დაცულ ცნობებს და მოპოვებული მასალა გავაანალიზეთ მომიჯნავე მეცნიერებებში დაგროვებული ცოდნის გამოყენებით. შედარებითმა ანალიტიკურმა მეთოდმა კი წარსულის ამსახველი საერთო სურათის აღდგენის საშუალება მოგვცა.

შედეგები

საკითხის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ გვიანდელი შუა საუკუნეებიდან მოყოლებული XX საუკუნის 30-იან წლებამდე პერიოდის ქართულ ეთნოგრაფიულ სივრცეში ხითხუროობა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში - მეავეჯეობა, მაღალგანვითარებული დარგია. რასაც მოწმობს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მოხმარებული ავეჯის დახვეწილი ფორმები, მხატვრული გაფორმება და მრავალფეროვნება. არანაკლებ მნიშვნელოვანია ავეჯის დაყოფა სქესობრივი სეგრადაციის მიხედვით.

საკითხის შესწავლის შემდგომ ნათელი გახდა ფაქტი იმის შესახებ, რომ საერთო გლობალიზაციის ფერხულში ჩაბმული თანამედროვე ქართული სინამდვილე, ცალსახად საფრთხეს უქმნის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, შენარჩუნებისა და მისი სამომავლო პერსპექტივის საქმეს, აქედან გამომდინა, ქართული ავეჯის, როგორც ერთ-ერთი ეთნოსაუნჯის სიღრმისეული კვლევა და პოპულარიზაცია განაპირობებს მეწარმეებისა და ზოგადად ხეზე კვეთის ოსტატების დაინტერესებას, შეისწავლონ და წარმოებაში ჩაუშვან ქართული ეთნოგრაფიული ავთენტური ავეჯის მასალა, ფორმა და დეკორი. რაც ქართულ ავეჯს ახალ სიცოცხლეს დაუბრუნებს.

დისკუსია

საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ისტორიისა და ეთნოგრაფიის კოლექციების ხის ფონდში ქართული, კავკასიური და ახლო აღმოსავლეთის საყოფაცხოვრებო ავეჯის მდიდარი და მრავალფეროვანი ნიმუშებია დაცული, რომლებიც კავკასიის მუზეუმის დაარსების დღიდან, მე-XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ექსპედიციებისა და შემოწირულობის გზით არის შემოსული. მუზეუმში დაცულია სხვადასხვა დანიშნულების - საწოლი, სასხდომი, სუფრისა და სატრაპეზო, სათავსებელი ავეჯის მრავალფეროვანი სახეობები. ამათგან, არანაკლებმნიშვნელოვანია საქალო ავეჯი.

ქართულ სამეცნიერო სივრცეში შესწავლილი მასალის მიხედვით ცნობილია, რომ საქალო ავეჯს განეკუთვნება სატანსაცმლე (სურ.1) სამზითვო (სურ. 3), და ზოგიერთი სამეურნეო დანიშნულების სკივრი (სურ.4), რომელიც სხვადასხვა სახელწოდებებით, ფორმებითა და შემკობის სახესხვაობით გავრცელებულია საქართველოს ყველა რეგიონში. ასეთებია: იმერული კიდობანი-მანჩა, მომცრო ზომის კიდობანი - ტაგრუცი და კროჭი სამკაულებისა და ხელსაქმის იარაღების შესანახად.

ქალისა და კაცის **ტანსაცმლის ერთ კიდობანში** ჩაწყობა ტრადიციით იკრძალებოდა, ამ აკრძალვის მიზეზად ხევსურეთში ქალის უწმინდურობას თვლიდნენ. ამავე მიზეზით ზოგიერთ ხელმოკლე ოჯახში ორგანყოფილებიან სატალავრე კიდობანს ხმარობდნენ. თუ ოჯახს მცირე ზომის ერთთვლიანი კიდობანი ჰქონდა, მასში ქალის ტანსაცმელს აწყობდნენ, მამაკაცისას კი ქანდარაზე კიდებდნენ.

საქალო ავეჯში ერთიანდებოდა ასევე სამფეხა სკამები, მათ შორის „საწველი სკამი“. ხის სამფეხა სკამებს გარდა, აღმოსავლეთ საქართველოს ყოფაში დამოწმებული იყო ქალების მიერ მოხმარებული მატყლითა და ბამბით სავსე ტყავის ბალიშები, რომელთაც საჯდომ ბალიშებს - სანაცურას, სასთუნელასა და ქუნთას ეძახდნენ (ბედუკიძე, 1973: 118).

მთელს საქართველოში დასტურდება საქალებო გრძელი სკამები - თუშური მეხი და სვანური ბანდარი (სურ.2). საქალო სკამები//მერხები, საკაცოსგან ძირითადად ფორმით განსხვავდებოდა. სხვაობას ქმნიდა ერთ მხარეს, საშუალოდ 20 სმ. დიამეტრისა და 3 სმ.

სიღრმის ჭრა. ეს დეტალი საქალო მერხზე მოსახერხებელი საოჯახო საქმიანობისთვის იყო დატანილი

საქალო ავეჯად ითვლებოდა ასევე სათავსო ღია და დახურული თაროები. ტანსაცმლის საკიდებელ თაროებს ხევსურეთში ისკორტას ეძახდნენ, ხოლო ქანდარაზე, რომელიც ასევე ხისკაუჭიან საკიდებელს წარმოადგენდა, უმეტესად საყოფაცხოვრებო დანიშნულების ჭურჭელს კიდებდნენ (ბედუკიძე, 1973: 120). ღია თაროებს გარდა, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში დახურული განჯინები იცოდნენ. განჯინებს იმერეთში ბუჯერსაც ეძახდნენ. იმერეთში ფუძის ანგელოზობის აღნიშვნა ქალების ფუნქცია იყო, ფუძის ანგელოზობას „მარეშლობა“//„ბუჯერობა“ ეწოდებოდა. ამ დღესასწაულის რიტუალს კაცი ვერ შეასრულებდა, იგი აუცილებლად ოჯახის დიასახლისს უნდა აღესრულებინა.

საქალო ავეჯს, როგორც უკვე აღინიშნა, თავისი ადგილი ქონდა განსაზღვრული საცხოვრებელ კომპლექსში, საქალო ავეჯი, ისევე როგორც საკაცო, სახლის ცენტრალურ ადგილზე-კერის წინ იდგა. კერა კი როგორც ცნობილია, წმინდა, საკრალურ ადგილს წარმოადგენდა იმ პერიოდის საცხოვრისში. კერის გარშემო ხდებოდა ავეჯის განლაგება ოჯახის წევრთა სქესობრივი პრინციპის შესაბამისად. კერასთან ზურგშექცევით დგომისას მარჯვენა მხარე საკაცო სივრცე იყო, ხოლო მარცხენა მხარე საქალო. კერის გამიჯვნა საკაცო და საქალო მხარეებად გამოწვეული იყო შესაბამისად განაწილებული შინასაქმიანობით მამაკაცსა და ქალს შორის, რომლებსაც საცხოვრებელ შენობაში თავთავიანთი ნახევარი განეკუთვნებოდათ. საცხოვრებლის ამგვარი დანაწილების მაჩვენებელი ფაქტები ცნობილია როგორც არქეოლოგიური, ისე ეთნოგრაფიული მასალებიდან და წერილობითი ცნობებიდან.

ოჯახის უფროსი მამაკაცის სკამი, როგორიცაა საკურცხალი, საუფროსო სკამი, ჩიკა სკამი . . ., კერის მარჯვენა მხარეს იდგა, მის მოპირდაპირედ უნდა მდგარიყო საქალო სკამი, რომელიც საკაცოსგან განსხვავებით უფრო მოკრძალებული და სადა იყო. თუშეთში, საქალო მხარეს, კერის გასწვრივ, ღია თარო იყო გამართული. ამ თაროს მარცხენა მხარეზე კარიანი თარო ანუ განჯინა კეთდებოდა. ოთახში - თაროს დაყოლებით, სხვადასხვა დანიშნულებისა და ზომის კიდობნები იყო ჩამწკრივებული. ქიტკოვზები, ჯამები და სხვა ჭურჭლი კიდობნის ყადაღებზე და თაროს თვლებში თავსდებოდა.

მარცხენა კედელზე მიმაგრებულ საკიდებელ ისკორტასა და ქანდარას ქვეშ როგორც წესი, ჩამწკრივებული იყო საპურე, სახელსაქმე, **სატალავრე ანუ საბარგე კიდობნები.** ამ რიგითობის დაცვით იყო განლაგებული საქალო ავეჯი საცხოვრებელ კომპლექსში. აკრძალული იყო მათი ადგილების მონაცვლეობა. იმერეთში საქალო მხარეს იდგა ასევე **სამზითვო სკივრი**.

ძალზე მნიშვნელოვანი და საინტერესოა საქალო ავეჯის გაფორმების წესი, გამოყვანილი ორნამენტები და ამ ორნამენტთა სიმბოლური დატვირთვა.

ჩვენს ხელთ არსებული მასალის შესწავლის საფუძველზე როგორც დადგინდა, ეთნოგრაფიული საქალო, (და აგრეთვე საკაცო) ავეჯი მხატვრული გაფორმებით არქაულია. დეკორი გეომეტრიული ორნამენტებითაა შემკული. გეომეტრიული ორნამენტი შედგება მარტივი სწორი, ზიგზაგი და ტეხილი ხაზებისაგან, ჯვრების, წრეების, კვადრატებისა და რომბებისაგან. რთული ფიგურები კი მარტივი მოხაზულობის რთული კომბინაციებია. ხითხუთოობაში გამოსახულ გეომეტრიულ ორნამენტებში ჩაშლილია სოლარული (მზე, ვარსკვლავი), ზოომორფული (ხარი) ნიშნები. მიუხედავად ავეჯის გეომეტრიული ორნამენტებით შემკობისა, ამავდროულად თვალში საცემია მათი განსხვავებულობა. თუკი რაჭული და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში არსებული ავეჯი ვარსკვლავა ორნამენტებით ხასიათდება, რომელსაც ხუთანებს უწოდებენ, სვანური დეკორისთვის დამახასიათებელია თაღოვანი ორნამენტიკა. ხევსურული და თუშური ავეჯისთვის უმეტესწილად დამახასიათებელია ხაზოვანი ორნამენტების ერთობლიობა. ყოფაში

დასტურდება ასევე ზოომორფული და ანტროფომორფული ფიგურების არსებობა, როგორიცაა ხევსურული სკივრი დოღის გამოსახულებით (სურ.3).

ამგვარად, კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ძველი ქართული ავეჯი (XVIII-XX სს.) რომელიც ეთნოკულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია, ნაკლებპოპულარობით სარგებლობს თანამედროვე ყოფაში. კარგი იქნება, თუკი მეტი ყურადღება დაეთმობა მის სამეცნიერო კვლევასა და კონსერვაცია-რესტავრაციას. აუცილებელია პოპულარული გავხადოთ იგი როგორც სამეცნიერო წრეებში, ასევე რეკლამა გავუკეთოთ სამეწარმეო სექტორში. ძველი ქართული ავეჯის რეწარმოება სიცოცხლეს შეუნარჩუნებს ძველ ქართულ ავეჯს და სარგებელს მოუტანს ქვეყნის ეკონომიკას.

გამოყენებული ლიტერატურა

ართილაყვა, ვ. (1966). *XVI-XVIII სს. მატერიალური კულტურის ისტორიიდან.* თბილისი.

ბედუკიძე, ლ. (1973). *ხალხური ავეჯი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში.* თბილისი: გამომც. „მეცნიერება“.

გობეჯიშვილი, გ. (1952). *არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში,* თბილისი.

ჩიტაია, გ. (1925). სვანური „საკურცხილ“. *საქართველოს მუზეუმის მოამბე.* ტ.2. გვ. 87. 110. თბილისი.

ჩიქოვანი, თ. (1960). *ქართული ხალხური საცხოვრებელი,* თბილისი.

ხარაძე, რ. (1939). *დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში.* თბილისი

ხერხეულიძე, ტ. (1941). *ავეჯი ძველ ქართულ ფრესკებსა და ჭედურ ხელოვნებაში:* ნიმუშების კრებული. თბილისი.

ჯავახიშვილი, ივ. (1966). *მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის.* ტ. I. თბილისი: გამომც. „მეცნიერება“.

References

artilaqva, v. (1966). XVI-XVIII ss. mat'erialuri k'ult'uris ist'oriidan [From the history of material culture of 16-18th centuries]. Tbilisi: Publishing house “metsniereba”.

beduk'idze, l. (1973). khalkhuri aveji aghmosavlet sakartvelos mtianetshi [Folk furniture in the mountains of Eastern Georgia]. Tbilisi: Publishing house “metsniereba”.

gobejishvili, g. (1952). arkeologiuri gatkhrebi sabch'ota sakartveloshi [Archaelogical excavations in Soviet Georgia]. Tbilisi

chit'aia, g. (1925). svanuri „sak'urtskhil“. sakartvelos muzeumis moambe. t'.2. gv. 87. 110 [Svanian “Sakurchkhil” (chair of head of family) Moambe of Georgian Museum, v.2 p. 87-110]. Tbilisi.

chikovani, t. (1960). kartuli khalkhuri satskhovrebeli [Geogian folk dwelling] Tbilisi.

kharadze, r. (1939). didi ojakhis gadmonashtebi svanetshi [Hangover of the large family in Svaneti]. Tbilisi.

kherkheulidze, t'. (1941). aveji dzvel kartul presk'ebsa da ch'edur khelovnebashi: nimushebis k'rebuli [Old Georgian furniture in frescoes and engraving arta: Collection of samples]. Tbilisi.

javakhishvili, iv. (1966). masalebi kartveli eris mat'erialuri k'ult'uris ist'oriisatvis. t'. I. [Materials for the history of the material culture of the Georgian nation. V.I. Tbilisi: Publishing house “metsniereba”.

ილუსტრაციები:

1. სატანსაცმლე სკივრი
2. საქალო სკამი-ბანდარი
3. სამზითვო ყუთები
4. სკამი

Illustrations

1. Clothes chest
2.women`s chair-banduri
3. Dowry chest
4. Chair

სურ. 1 სატანსაცმლე კიდობანი

სურ. 2 საქალო სკამი-„ბანდარ“ (სვანეთი)

სურ.3 სამზითვო ყუთები (აჭარა)

სურ. 4. პურის შესანახი სკივრი (ხევი)